# კონფერენცია: არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

**2019 წლის 7 ივნისი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები.**

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 12 მომხსენებელმა ოთხი ქვეყნიდან: საქართველო, ამერიკა, იტალია და აზერბაიჯანიდან. მათ შორის კონტინენტშორისი კურატორული პროექტის დამფუძნებელი, თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ამერიკელი არქიტექტორი ვლადიმერ ბელოგოლოვსკი, იტალიელი არქიტექტორი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი ვირჯინია კუჩი და აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტის პროფესორი ფადირა გასიმოვა. კონფერენციის ძირითადი მიზანია საქართველოში, არქიტექტურისა და ურბანისტიკის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა მდგრადი განვითარების კონტექსტში; ქალაქთმშენებლობითი პრობლემების აღმოსაფხვრელად პროფესიულ დისკუსიებში საზოგადოების ფართო ფენების, მათ შორის, უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურების ჩართვა; ქართული არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემატიკის უცხოელი კოლეგებისთვის გაზიარება და ამ პრობლემების გადაჭრის პროცესში, „ურბანისტიკის ევროპული ქარტიის“ ძირითადი დებულებების შესაბამისად, ურბანისტებისა და არქიტექტორების სოციალური როლის განსაზღვრა და დამკვიდრება; ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ურბანისტებსა და არქიტექტორებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი საინფორმაციო ბაზის შექმნა.

კონფერენცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, პროფესორმა ზურაბ გასიტაშვილმა გახსნა. მისი თქმით, საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების თანამედროვე პრობლემებს ეხება, ტრადიციული ღონისძიებაა, რომელიც მეათე წელია, ყოველწლიურად იმართება ტექნიკურ უნივერსიტეტში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: აზროვნების სწავლების მეთოდოლოგიური სირთულეები, ჯგუფური პროექტების თემატური კვლევები, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა არქიტექტურული მეხსიერების ჭრილში.

ვლადიმერ ბელოგოლოვსკი თავის მოხსენებაში შეეხო არქიტექტურული კრიტიკის თავისებურებებსა და მნიშვნელობას დღევანდელი არქიტექტურის განვითარებაში, ფარიდა გასიმოვამ ისაუბრა ბაქოს, როგორც სამხრეთ კავკასიის უმსხვილესი სატრანსპოტრო ჰაბის, განვითარებასა და მოდერნიზაციაზე 2009-2019 წლების შუალედში, ვირჯინია კუჩის მოხსენების თემა კი ძველი ქალაქების ახალი სიცოცხლე იყო.

კონფერენცია გაგრძელდა ტექნოპარკში, სადაც მოეწყო ამერიკელი არქიტექტორის ვლადიმერ ბელოგოლოვსკის წიგნის: “Architectural Guide New York, A Crittics Guide to 100 Iconic Buildings in New York from 1999 to 2020” პრეზენტაცია და საჯარო ლექცია თემაზე: ძირითადი ეტაპები და ტენდენციები თანამედროვე არქიტექტურაში“.

დაწვრილებით კონფერენციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ:

https://www.interpressnews.ge/ka/article/550392-teknikur-universitetshi-saertashoriso-arkitekturuli-konperencia-gaixsna/

https://pia.ge/post/265894-teqnikur-universitetsi-saertasoriso-arqiteqturuli-konferencia-gaixsna

http://medianews.ge/ge/teqnikur-universitetshi-saertashoriso-arqiteqturuli-konferentsia-gaikhsna/59936; https://digest.pia.ge/post/265899-teqnikur-universitetsi-saertasoriso-arqiteqturuli-konferencia-gaixsna